

საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის, 2014 წლის 8 დეკემბრის, N669 დადგინდების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ

მუხლი 1. გამოცხადდეს ერთ ლოტში გაერთიანებული, განმეორებითი უპირობო ელექტრონული აუქციონი, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, გიორგი ჭანტურიას ქუჩა N1-ში მეორე სართულზე მდებარე 127.38 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.08.082.01.03.512), გიორგი ჭანტურიას ქუჩა N1-ში მეორე სართულზე მდებარე 141.78 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.08.082.01.03.513) და გიორგი ჭანტურიას ქუჩა N1-ში მდებარე 25.54 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.08.082.01.03.511) პრივატიზებასთან დაკავშირებით.

მუხლი 2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ერთ ლოტში გაერთიანებული, ქალაქ ფოთში, გიორგი ჭანტურიას ქუჩა N1-ში მეორე სართულზე მდებარე 127.38 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.08.082.01.03.512), გიორგი ჭანტურიას ქუჩა N1-ში მეორე სართულზე მდებარე 141.78 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.08.082.01.03.513) და გიორგი ჭანტურიას ქუჩა N1-ში მდებარე 25.54 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.08.082.01.03.511) საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 138006.00 (ასოცდათვრამეტი ათას ექვსი) ლარით, „ბე“ განისაზღვროს 27601.20 (ოცდაშვიდი ათას ექვსასერთი ლარი და ოცი თეთრი) ლარით, ხოლო ბიჯი განისაზღვროს 400.00 (ოთხასი) ლარით.

მუხლი 3. განისაზღვროს საპრივატიზებო უძრავი ქონების უპირობო ელექტრონული აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი: 2023 წლის 15 ნოემბრის 15:00 საათიდან, 2023 წლის 29 ნოემბრის 15:00 საათამდე.

მუხლი 4. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულ პირს გადახდილი „ბე“ ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.

მუხლი 5. საპრივატიზებო უძრავი ქონების შემძენი შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.

მუხლი 6. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის საფუძველზე 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში ფორმდება მუნიციპალიტეტის ქონების მმართველსა და მუნიციპალიტეტის ქონების შემძენს შორის წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულება.

მუხლი 7. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შემძენილი ქონების სრული ღირებულება.

მუხლი 8. ელექტრონული აუქციონის შედეგები უქმდება და ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ გადახდილი „ბე“ სრულად ირიცხება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, თუ:

ა.) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი განაცხადა.

ბ.) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა, აუქციონატორის მიერ განსაზღვრულ ვადაში, სრულად არ გადაიხადა მუნიციპალიტეტის შემძენილი ქონების სრული ღირებულება.

მუხლი 9. თანხა აუქციონში გამარჯვებულმა პირმა უნდა გადაიხადოს შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე: მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22, სახაზინო კოდი: 300423313 (შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან).

მუხლი 10. წინამდებარე ბრძანება განთავსდეს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ ვებგვერდზე www.eauction.ge, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონული აუქციონის ჩატარებას.

მუხლი 11. უპირობო ელექტრონული აუქციონის ფორმით საპრივატიზებო უძრავი ქონების შესახებ ინფორმაცია განთავსდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე poti.gov.ge.

მუხლი 12. წინამდებარე ბრძანების სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ ვებგვერდზე www.eauction.ge-ზე განთავსება უზრუნველყოფს ქონების მართვის განყოფილებამ, ხოლო ინფორმაციის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე poti.gov.ge-ზე განთავსება უზრუნველყოფს საინფორმაციო, საგარეო და საზოგადოებასთან ურთიერთობების განყოფილებამ.

მუხლი 13. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმად განისაზღვროს საპრივატიზებო უძრავ ქონებაზე ყველაზე მაღალი ფასის გადახდა.

მუხლი 14. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მდგრადი განვითარებისა და ინოვაციების სამსახურის უფროსს ნინო გვასალიას.

მუხლი 15. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N 3).

მუხლი 16. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბექა ვაჭარაძე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია-ქალაქ ფოთის
მუნიციპალიტეტის მერი

